საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. | სამშაბათი || მარტი 1919 | ორგანული ეროვნული ენა ქალაქისა, შეერთიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ფასი 75 კაპ.

ერთ ფურცელ 1 თვეში 18 მანეთი ფასდება ნომერი ღირს 75 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე ბეტრიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას ანა ფეგეიანეს ფილის 12 ს. ხელმოწერილი წერილები არ ამუშავდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არავ მიწერ-მოწერას კისრულობს.

ბოლის მიწერ-ლებში ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნოთ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 „ერთობის“ რედაქცია სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 56 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 56

ღრმის მწუხარებაში ყოფნი: დედა მატრონე, და ნარო სარიშვილისა, ძმები ტიტიკო და ილიკო გუჯაბიძეები, მამიდები მარინე გუჯაბიძე და ალექსანდრა გურგენაძისა თაკისი შვილებით და ბიძა რომანოზ მეგრელიძე შვ ლებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს რომ მძიმე ჭრილობისაგან, რომელიც მიიღო ეკატერინეფელდში 19 დეკემბერს სომხებთან ომის დროს, გარდაიცვალა რკინის გზის საავადმყოფოში 9 მარტს სახლიდან გვარდიელი არტილერისტი

კლატონ გუჯაბიძე

გამოსვენება მოხდება ალინ ბნუ საავადმყოფოდან სამშაბათს, 11 მარტს, დილის 8 საათზე თფილისის სადგურზე, საიდანაც წაასვენებენ მატარებლით თავის სამშობლოში. დაკრძალვა მოხდება 13 მარტს, (ხუთშაბათს) შუადღის 2 საათზე ბაბა ლოსაში. (3—1)

ღრმის მწუხარებაში ყოფნი ბეჟუღლე ალექსანდრა, შვილი ნინო და სიძე შალვა ნაკაშიძენი, ძმა ალექსი მეუღლით და დაი მარია ჯაყელისა მეუღლით, ვასილი და დიმიტრი სურგულაძენი, ცოლის და კატო მეუღლით კოშიათი და შვილით კარნილა თავართქილაძეები, ვაცნობებთ ნათესავთ მეგობართ და ამხანაგებს ჩვენთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

გელეტრისტი იასე რაჭველის—მეჯუჯლას

გარდაცვალების და აფშავების დღე არის დანიშნული 11 მარტს, დილით 10 ს. ცხედარს გამოასვენებენ თავის სახლიდან სოფელ პატარა ბაილეთს ეკლესიაში სადაც იქნება დასაფლავებული. (1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ს ძე ბიქტორ ეუბუიძე, შვილები: ნინა ეუბურიძისა, ნადია ჯიაგრისა შვილებითურთ და ნათლიდედა მარიამ ნაცვლიშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

დარო სიმონის ასულის ხრაპოვიცკის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება სამშაბათს 11 მარტს, დილის 12 საათზე რკინის გზის საავადმყოფოდან, დაკრძალვა ამავე დღეს კუკიის ეკლესიაში ნინოს სასაფლაოზე. (1—1)

ღრმე მწუხარებაში ყოფნი რძალი ზაფირო, ძმისწულები შელიტონ მეუღლით თებრონეთი, პორფილე მეუღლით კესარიათი, სამსონ, ალათი ვარდო და ელენე მეხუზლები ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ჩვენი ძვირფასის შელეტრისტის

იასე რაჭველის—მეჯუჯლასი

დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 11 მარტს, ს. პატარა ბაილეთში (გურიაში). (1—1)

პირველი საქმე

დამფუძნებელი კრების არჩევნებმა სოციალდემოკრატიას მოუღოდნელათ გამარჯვება მოუტანა.

მაგრამ ამით მოუღოდნელათ დიდი საპასუხისმგებლო მოვალეობაც დააკისრა, მთელი სახელმწიფო დღეს ამ ერთი პარტიის ხელშია.

მის ხელშია დამფუძნებელი კრებაც.

რა უნდა აკეთოს დამფუძნებელმა კრებამ? რა არის უმთავრესი და უპირველესი მოთხოვნილება დღეს?

პირველი და უმთავრესი, რასაკვირველია, განმტკიცება თავის უფლების და დამოუკიდებლობის; მაგრამ ამის თქმა კიდევ არ ნიშნავს კითხვის გადაჭრას,—რადგან ეს ზოგადი და საერთო ფორმულაა, ხოლო მის განსახორციელებლათ მეტათ კონკრეტიული და მიზნის შესაფერი მოქმედება არის საჭირო.

და ჩვენც გვინდა ამ საგანზე შევჩერდეთ.

ჩვენ ქვეყანას დღეს ორი მთავარი საჭიროება აქვს: ერთია შინაური წესრიგის დამყარება და სამართალს გაჩენა, მეორე ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესება.

ფინანსების გამომთელება თხოულობს რთულ ეკონომიურ ფინანსიური პოლიტიკის წარმოებას, მრეწველობის აყვავებას, ლეგ მიცემობის განვითარებას, ერთი სიტყვით ისეთ ზომებს, რომელიც თანდათანობით შეიძლება განხორციელდეს.

მაგრამ ეს ზომებიც თავის ნიადაგს მხოლოდ შინაურ წეს რიგში ჰპოვებენ.

არეულობა—ანარქია სპეკულიაციის, სპეკულიაცია კი სპობს სად წარმოების საფუძველს. მრეწველობა ნაკლებ მომგებიანი ხდება, ინიციატივა შემოქმედება უმიზნო, უსარგებლო, ხოლო გაძარცვა გამოძალვა, დაქურდვა, ბოტყუება და სხვა დიდი ფულის შეძენის წყაროთ ხდება.

ჩვენ ვ ცადეთ ამ სპეკულიაციის ნაგვინ ნიადაგის გაწმენდა რეპრესიებით, სასტიკი კანონებით, ტაქსების დაარსებით და სხვ. მარა ყოველი კანონი ქაღალზე დარჩა, რადგან ამსრულებელი ძალა ადმინისტრაციას სპეკულიაციის ტალღებთან ბრძოლაში უძლური გამოდგა. და ბოლოს თვით მას დაემორჩილა. დღესაც ერთი ტაქსა არ სრულდება. და არც ერთი წარმოება არ იწყება, რადგან სპეკულიაციის ბანაში მრეწველობის აყვავება შეუძლებელია.

მაშასადამე თვით ფინანსიურ ეკონომიური მდგომარეობის გამომჯობინება თხოულობს ადმინისტრატიული აპარატის მკვიდრ ნიადაგზე დამყარებას.

და ამას უნდა მიაქციოს პირველი და უმთავრესი ყურადღება დამფუძნებელმა კრებამ. მაგრამ მარტო სიტყვა და კანონიანი დეკრეტი ამ საქმეში მეტს ვერას მოგვცემს, ვინემ პარლამენტის კანონმა მოგვცა. საჭიროა სულ სხვა მხრივ მოეკიდოს საქმეს.

დამფუძნებელ კრებას აქვს სხვა საშუალება. იგი მატარებელია სრული, ყოველმხრივი ხელისუფლების, კანონმდებლობის, აღმასრულებელის და სამოსამართლოსი. მისი წევრები, როგორც ხალხის სრული სუვერენიტეტის გამომხატველნი უნდა თავის მთელი ენერგიით შეუდგენ ამ საქმის გამოსწორებას.

ადმინისტრაციაში ბევრი უკარგისი ელემენტია, ბევრი ბოროტმოქმედება, დაუდევრობა, ძველი წესების განმეორება არის დაბუდებული. არც ერთ მინისტრს, თუნდ გენიოსიც იყოს იგი, ყველას თვალყურის დევნება არ შეუძლია. და ეს უნდა იკისროს დამფუძ ებელი კრების წევრებმა. მათ აქვთ უფლება ყველა დაწესებულების და თანამდებობის პირის მოქმედებას გაეცნან, მათ მუშაობას თვალყური ადევნონ, უვარგისი დაუწუნონ და საჭიროების დროს უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოებს მათი დათხოვნაც, გ დ ყენებ, ან დასჯა მოითხოვონ. დ მფუძნებელი კრება, და მისი წევრ ბი, თუ სპეციალურათ ამისთვის დანიშნული კომისიები, უნდა ერთ დიდ სარვიზიო დაწესებულებათ გადაიქცენ, ყველას და ყველაფერში კრიტიკაში ჩაუდგენ. შეიძლება ამით მაინც ოდნავ გამომთელდეს ჩვენი შინაური წყობილება.

ეს ყველაზე მტკივანი ადგილია ჩვენი ცხოვრების, რომლის შესახებ ზომების მიღება შეუძლია დამფუძნებელ კრებას. უნდა სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს მილიციაში დაბუდებულ უსამართლობას უნდა გაიწმ ნდოს რკინის გზა მცარცველების და გამეურდავებისაგან, უნდა მოედოს ბოლო ქრთამს, ამ დაუსრულებელ საშინელებას ჩვენის ცხოვრებისა. უნდა აილაგმონ ყაჩალთა ბრბოები სოფლათ, უნდა გაიწმინდოს გზა და ნიადაგი ხალხის ეკონომიურ კულტურული შემოქმედებისათვის. თუ ეს ვერ შესძლო დამფუძნებელმა კრებამ, იგი დაკარგავს ხალხში ნდობას და ამით ხალხი დაკარგავს ნდობას თავის თავისა და თავის ძალებისა.

მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ დამფუძნებელი კრება შეასრულებს ამ პირველ და უდიდეს მოვალეობას.

რამდენი ცენტრი?

დღეს დგას ჩვენში ნაკითხი მართველობის გამარტივების. გვინდა ორ გუბერნიას, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო წარმოადგენს და მას ეამსა შინა ორი გუბერნატორი მართავდა ახლა ერთი პატარა კოლეგია ნ—ბ კაც. შემდგარი მაინც ყოფნიდეს. მით უმეტეს, რომ ადგილობრივი საქმეები ერობებს გადაეცა, სადაც ადრეთვე კოლეგიალური დაწესებულებები მართველობენ.

მაგრამ ჩვენი ცხოვრების უბედურება ის არის, რომ რუსეთ ძველ სინამდვილის მიკიბულ-მოკიბულ ორგანიზაციების გუნდიდან თავი ვერ დაგვიღწევია.

რუსეთში, როგორც ვიცით, თვითმპყრობელობით ბიუროკრატია საზოგადოებრივ ძალებს არ იკარებდა, ამიტომ ისინი ძალაუნებურათ ცალკე ირაზმებოდენ და ცალკე ცენტრებს ქმნიდენ, ესე იგი სახელმწიფოს სახელმწიფოში აარსებდენ.

და სხვაგვარათ არც შეიძლებოდა, რეგოლიუციის შემდეგ, როცა მდგომარეობა შეიცვალა და საზოგადოებრივი ძალები თვით მოექცენ სახელმწიფოს სათავეში, დაიბადა აზრი ერობათა და სხვა ცენტრების გაუქმების. გადაიდგა კიდეც ამ მხრით ნაბიჯები ჯერ კიდევ კერენსკის მთავრობის დროს, მაგრამ ამან ძველ აზროვნებაში გამოიწვია ჩოჩქოლი და მუშაობა შეფერხდა.

ახლა იგივე მეორდება ჩვენშიაც. ჩვენი ერობის მოდვაწეთა ერთი ნაწილი სრულიად არ ბძლევს თავის თავს ანგარიშს იმაში, თუ რა ადგილი უკ რავს მას სახელმწიფოში. მას ავ წყდება, რომ იგი საფუძველი, ქვედა სართული, ბალთან პირდაპირ მდგარი საფეხური იმ მენობის, რომლის სათავე ცენტრია. დაგვირგვინება პარლამენტი და მთავრობაა, დემოკრატიული გზით არჩეული და მოწყობილი. ერობებს თავი კიდევ ძველ რუსეთში ჰგონიათ და საკუთარი ცენტრით მთავრობის ცენტრის დაპირდაპირებას ცდილობენ. ეს ერობათა ყრილობის მომხსენებელმა ამბ. დ. თოფურიძემ ლოდკურ დასკვნამდე მიიყვანა, მაგრამ მთავრობა ამის შემდეგ რადა საჭიროა?

ამრიგათ თვით სიმარტივე, დემოკრატიზმი და სათავე მთავრობის აპარატის მოითხოვს, ერობა იყოს ადგილობრივი ორგანო, ხოლო მთავრობა ცენტრ. მთავრობამ უნდა გასწიოს საზოგადო ხელმძღვანელობა, ერობამ უნდა ადგილობრივ გაატაროს ყოველივე ის, რასაც კანონმდებლობა დაავალებს მათ, როგორც აღმასრულებელ ორგანოებს. თუ ჩვენ ეს მხარე ერობის მოდვაწეობისა დავივიწყეთ, მაშინ მთლიან სახელმწიფოებრივ თვალსაზრისს ვშორდებით და ფედერაციის ან დამოუკიდებლობის სფეროში გადავდივართ.

ეი ამიტომ, ვიმეორებთ, ჩვენ წინადადგეგი ვართ ერობათა ცენტრის შექმნის. ეს რუსული ძველი ცხოვრების უვარგისი ანდერძია და იგი უნდა უარყოფილ იქნეს.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ერობებს ბევრი მოღვაწეები არ ყავთ. რაც არიან, ისინი ადგილობრივაც ვერ ასწრებენ საქმეების გაძღოლას. იმათ რომ ცენტრისთვის საკუთარი ძალები გამოყონ, რაღა დარჩება ადგილობრივ?

თუ მათ ასეთი ცენტრალური მართველობისთვის გამოსადეგი ძალები ყავთ, რა საჭიროა შორიდან მოყვანა? განა პირდაპირი გზა პარლამენტიდან მთავრობაში ლია არ არის?

ვერც სასურსათო, და ვერც სხვა საკითხები ვერ გადაიქცევა ცენტრის საჭიროების დასაბუთებათ.

ჩვენ ყველაზე სასტიკი მტერი ვართ იმ სასურსათო კომიტეტების, რომელნიც მეტ სურსათს ნთქავენ, ვინემ იძლევენ. მაგრამ განა ახალი სასურსათო ორგანიზაციის შექმნა გამოასწორებს საქმეს?

ჩვენ არ გვინდა ერობებს ზევით კიდევ ახალი სართულები დაედგას. ჩვენ ამ დაუსრულებელი ცენტრების, ბიუროების, კომისიების, მათი კანცელარიების და სხვა წინააღმდეგნი ვართ. არ შეგვიძლია ამდენი კანცელარიების შენახვა, არც ვსაჭირობთ ამდენ მოხელეებს. თქვენ გინდათ ცენტრიზ აი მთავრობა თუ ის ვერ აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილებებს, ერთობ შევეცადოთ მის გაუმჯობესებას, თუ აკმაყოფილებს, მაშინ ეს საქმე ცენტრალური მართველობისა და ხელმძღვანელობისა მას მივანდოთ, ხოლო ადგილებიდან მას ძირი მოვუშაგრთ.

ერობას ბევრი საქმე აქვს. სოფელი უპატრონოთაა. მას უნდა მიხედვა, ამ საძარკველს უნდა გამაგრება. ცენტრომანია კი მხოლოდ უშლის ხელს ამ უმთავრესი საკითხის გადაწყვეტას.

მაშ ასე. მთავრობის გამაგრება ცენტრში და ერობების მათ ადგილობრივ მუშაობაში. მათი ავტონომია ადგილობლივ საქმეებში ამით ოდნავაც არ შეიბღალება. მათი ავტონომიის ფარგლები კი კანონით უნდა განისაზღვროს. მთავრობა ამ ავტონომიის შიგნით ვერ შეეჭიბა და არც მათ უნდა გადალახონ ეს ფარგლები.

ამ შეთანხმებული და მიზანშეწონილი მუშაობით შეგვიძლია მივცეთ წესი ქვეყანას და შეება გაწამებულ ხალხს.

ერთხელ კიდევ „მილიციაზე“.

თფილისის მილიციის უვარგისობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა: ჩვენი მთავრობა იძულებულიც კი გახდა საგანგებო რეგვიზია დანიშნა.

ჩვენის ღრმა რწმენით მილიციის უვარგისობა აიხსნება არა ამა თუ იმ პირის პირადი ნაკლით, არამედ იმ სისტემით, რომელიც სხვადასხვა დაწესებულებებშია გაბატონებული. ეს სისტემა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი დაწესებულება ცდილობს გადაიქცეს ერთგვარ დამოუკიდებელ ორგანიზაციათ, ხოლო ამ ორგანიზაციის მოხელეებს თავის თავი წარმოდგენილი აქვთ არა საქმის უბრალო ამსრულებლებათ, არამედ რაღაც დამოუკიდებელ კანონმდებლებათ. ამიტომ არის, რომ მოხელეები მეტს დროს ანდომებენ კრებების მოწყობას და იქ თავის იდეების გატარებას, ვინემ დაკისრებულ მოვალეობის ასრულებას.

ასეთი მდგომარეობა ნორმალურ მდგომარეობათ ვერ ჩაითვლება: ჩვენ გვყავს საკანონმდებლო ორგანო, გვყავს ცენტრალური მთავრობა და ადგილობრივ კიდევ ერობა და საქალაქო თვითმართველობა ან სხვადასხვა დაწესებულების მოხელეები კი ვალდებულნი არიან უსიტყვოთ შეასრულონ დაკისრებული საქმე. ამის მაგიერ კი ჩვენ ვხედავთ მოხელეების მიერ ადმინისტრატიულ ფუნქციებისათვის პოტინს და საქმის არევ დარევას.

ავიღოთ თუნდაც მილიცია. განა დასაშვებია, რომ მილიციონერების ყავშირი ერეოდეს სამსახურში მიღება-დათხოვნის საქმეში, როცა ქალაქის ადმინისტრაციის საქმეს უნდა განაგებდეს ქალაქ-ს გამგეობა და მილიციის უფროსი?

და რაკი მილიციამ მმართველ დაწესებულებათ წარმოიდგინა თავი, ცხადია, მას შესაფერი ორგანოც უნდა გაეჩინა. ამიტომ შეეხვედით ჩვენ უარყოფით გაზეთ „მილიციის“ გამოსვლას. და რადგან შემთხვევამ მოიტანა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ბევრი გაზეთი გამოგვრჩა აღუნიშნავი, ეი თუნდაც „რესპუბლიკის ჯარი“ და „თავისუფალი გზა“, რომელიც ორ ენაზე გამოდის. გადაათვალიერეთ თუნდაც გაზეთი „თავისუფალი გზა“: იქ მრავალ საყურადღებო წერილს იპოვნით მომენტზე და საერთოდ პოლიტიკაზე, და შეადარებით ნაკლებს, პროფესიონალურ საკითხებზე. და ეს იმ დროს, როცა ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ ორგანოს ჯერაც ვერ მოუხერხებია გაზეთის გამოცემა, თუ ცა ასეთი გაზეთი დიდს საჭიროებას წარმოადგენს. ამავე დროს რკინის გზას და მილიციას აქვს ცალკე გაზეთები, თუმცა ჩვენს მთავრობას უსახსრობის გამო ვერ მოუხერხებია დროზე აძლიოს ჯამაგირები თანამდებობის პირებს.

საინტერესოა, თუ როგორ გაიგო ჩვენი წერილი გაზეთმა „მილიციამ“, რომელმაც უკვე მეორე ნომერი უძღვნა საზოგადოებას: მან კრიტიკოსობა დაგვიწუნა. კეთილი უსახსრობის შესახებ „მილიცია“ სწერს: „მოცლილობას და ნივთიერ ქონებას რაც შეეხება, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბრწყინვალე რევოლიუცია დემოკრატიამ მოუცლელობის და ნივთიერ სიღუხჭირის დროს წარმოშვაო“. არ დაგვავიწყდება, მაგრამ პასუხი მაინც ვერ მივიღეთ: ხაიდან ღებულობს მილიცია ფულს გაზეთის გამოსაცემათ?

რაც შეეხება „მილიციის“ შენიშვნას: „ნუ შიშობთ, ბ. „ელი“, ჩვენ პარტიას უერთდებით, არ ვეყრებითო“, ამაზე უნდა მოვახსენოთ პატივცემულ რედაქციას, რომ ჩვენ გვჭირია არა ისეთი მილიცია, რომელიც პარტიას უერთდება და თავის მოვალეობას შორდება, არამედ ისეთი, რომელიც თავის მოღვაწეობით პარტიას სახელს უკეთებს, თუმცა საქვეყნოთ არ ყვირის, მე პარტიას ვუერთდებიო.

ასეთი იყო ჩვენი შეხედულება, როცა „მილიციის“ პირველი ნომრის გამოსვლა ალვნიშნეთ და მეორე ნომრის წაკითხვამ კიდევ უფრო დაგვარწმუნა ჩვენი შეხედულების სიმართლეში.

ელი.

მუშათა ღერილი

დემოკრატიის ოქრო უდიდესი დღესასწაული.

ხვალ, 12 მარტს, საქართველოს დემოკრატია დღესასწაულობს ორ უდიდეს დღეს: რევოლიუციის ორი წლის თავს და საქართველოს დამფუძნებელ კრების გახსნას.

ხვალ ჩვენმა დემოკრატიამ ერთხელ კიდევ უნდა დაანახოს და დაუმტკიცოს ჩვენს ორგულს, ჩვენს მოწინააღმდეგეთ და ჩვენი კეთილის მსურველებს, რომ მას შეუძლიან: დაანგრიოს ძველი, შეიგნოს და მოიხმაროს შინაარსი და უფლება რევოლიუციისა და დაფუძნოს, დაამკვიდროს ახალი.

და სწორედ ამიტომ საქართველოს დემოკრატიის დღესასწაული ამ დღეს სრულიად განსაკუთრებულ ხასიათს ღებულობს: მან თავის ზეგრზე გადაიტანა მთელი სიმწვავე და ტანჯვა-ვაება, თავდასხმა და ანარქია, შინშილი და სიცივე და აი მხოლოდ ასეთ თავგანწირულ ბრძოლის შემდეგ მან შესძლო მოპოვებულ უფლებების შენარჩუნება და იგი დღეს ყველა ამას აფუძნებს, აკანონებს და ამაგრებს.

განუსაზღვრელი უნდა იყოს სიხარული ამ დღეს ყოველი ჭეშმარიტი დემოკრატისა.

და ეს იმიტომ, რომ უბადია მისი დღესასწაული: დაანგრია ძველი და აშენებს ახალს. საქართველოს დემოკრატიის ხაზი და მიმართულება, რომელმაც იგი გამარჯვებამდის მიიყვანა, მიზან-შეწონილი გამოდგა ჩვენი ხალხისთვის. ჩვენი დემოკრატიის და მისგან არჩეულ მთავრობის ს ლმა და შორსმსჯელობამ მოქმედებამ გადაანარჩუნა ჩვენი ხალხი—და აი ამ ბრძოლის ნაყოფი ჩვენ უკვე მივიღეთ—ხვალ საქართველოს დემოკრატია ხსნის დამფუძნებელ კრებას.

ხვალ, 12 მარტს, რევოლიუციის ორი წლის აღსანიშნავათ, რუსეთის ყოველი კუთხის დემოკრატია ადღესასწაულებს ამ დღეს.

მაგრამ, სამწუხაროთ, ეს მათი დღესასწაული ვერ იქნება სრული და უნაკლო: ჩვენ ვიცით, რომ რუსეთის ზოგიერთ კუთხეში ჯერ კიდევ მძვინვარებს შავი რეაქცია, მძვინვარებს ანარქია და ხოცვა-ყლეტა. და რევოლიუციის ორი წლის დღესასწაულიც ამ მხარეებში ეს იქნება მხოლოდ რევოლ. პირველ დღეებში წამოყენებულ ლოზუნგების აღნიშვნა და გამეორება. ეს იქნება გამეორებული ულონო ამოძახილი ხალხის, რომელიც ბრმათ მიჰყოლნობია თავის მმართველ წრეებს. ხოლო ეს უკანასკნელნი, რომელნიც სარგებლობენ ხალხის ნდობით, ბოროტად სარგებლობენ ამ უფლებით და დაფუძნება შენარჩუნების მაგივრათ, ანგრევენ და ნიავს აძლევენ უკვე მოპოვებულ უფლებებს.

და ის, ვინც ანგრევს ძველს და ვერ აშენებს ახალს, მისი ბატონობა ყინულზეა დაყრდნობილი.

და მართლაც, რევოლიუციას იდღესასწაულებს მხოლოდ ის, ვინც მის უფლებებს დაიფუძნებს და გაამაგრებს.

და სწორეთ ასე მოიქცა საქართველოს დემოკრატია: დღესასწაულობს იგი რევოლიუციას—ხსნის დამფუძნებელ კრებას—და მით ამაგრებს რევოლიუციის უფლებებს.

გაუმარჯოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას.

მახ. თამაზაშვილი.

დამოუკ. ეროვნული სახელმწიფო—საქართველო*)

III

საქართველო დაიბადა საერთაშორისო პირობებში, ისტორიულ აუცილებლობის ლოდიკით. მისი პირველი სიტყვა იყო მიმართული დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ და დღიდან გაჩენისა, ამ დამოუკიდებლობას იგი თავგამოდებით იცავს.

რათაა, მაგალითად, დაინტერესებული ქართული ბურჟუაზია საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაში? კაცს ამბობს: „კაპიტალისტები დაინტერესებულნი არიან თავის ერის თვითმყოფობაში, დამოუკიდებლობაში და ეროვნულ სახელმწიფოში. მათი ინტერესები ვერ ითმენენ, რომ სხვა ერის კაპიტალისტებმა მათ ბატონობა წაართვან ან შეავიწროვონ იგი ბატონობის ასპარეზზე იმ სახელმწიფოში, რომელშიაც ისინი სცხოვრობენ და სადაც მათი წარმოებაა“. და, მართლაც, ამ მიზნით გამსჭვალული ქართული ბურჟუაზია მტკიცეთ სდგას საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე და ამ დამოუკიდებლობის განმტკიცებით ფიქრობს თავის ეკონომიურ ძალის განმტკიცებას; თავის სასაქონლო ბაზრის დამკვიდრებას და მასზე ბატონობას. ქართულ ბურჟუაზიას არ შეუძლიან არ დაიცვას საქართველოს დამოუკიდებლობა, იმისდა მიუხედავათ, რომ იგი მასში დღეს გაბატონებული არ არის.

ინტელიგენციაც იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას. იგი ინტელიკტუალური ძალაა და სწორედ ეროვნულ სახელმწიფოში ჰპოვებს იგი თავის გასაღებელ ადგილს. ამ მხრივ მისი ბრძოლა სავსებით ბუნებრივია.

დემოკრატიული მოძრაობის სულის ჩამდგმელია—მუშათა კლასი—პროლეტარიატი. პროლეტარიატს თავისთავად აქვს თავისი წმინდა მიზანი—სოციალიზმი. ამისთვის იგი აწარმოებს ბრძოლას. მაგრამ ამ ბრძოლის პროცესში მას მოსაპოვებელი აქვს ისეთი პოზიციები, რომელნიც არსებითად წვრილბურჟუაზიულ პოზიციებთ ითვლება. ესაა დემოკრატიული მოთხოვნილებანი, დემოკრატიზმის განხორციელება, საყოველთაო საარჩევნო უფლება, სიტყვის, პრესის, გაფიცვის და სხვა,—მათ შორის ეროვნულ დამოუკიდებლობის ლოზუნგი. თავის თავად ცხადია: სოციალდემოკრატია განსხვავ ება ბურჟუაზიულ პარტიებიდან, რომელთაც იგივე ლოზუნგები აქვთ წამოყენებული. „ჩვენ უარი არ გვითქვამს წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ პ ლიტიკურ მიზნებზე, პირიქით, ჩვენ იგი გავაღრმავეთ და გავაფართოვეთ. იგივე ეხება ერის თვითმყოფობის იდეას. იგი გ ნუყარელად დაკავშირებულია ჩვენ დემოკრატიულ და ინტერნაციონალურ მიზნებთან და მასზე უარის თქმა ამ მიზნებზე უარის თქმას ნიშნავს“.

საერთაშორისო ქარტეხილის დროს, როცა ნგრევა-ღლვევის პროცესი ელვისებური სისწრაფით სწარმოებდა,—იშვა სახელმწიფო—საქართველო. ნ. ნ. ჟორდანიამ სწორეთ სთქვა: დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე, 26 მაისის აკტი არ ყოფილა აკტი შემთხვევითი, აკტი უკაბედითი, აკტი გამოგონილი რომელიმე პირის, ჯგუფის ან პარტიის მიერ. არა, ეს აკტი იყო ისტორიული აუცილებლობისა და ხალხის გულიდან ამოზეთქილი. და მართლაც: 26 მაისის აკტი იყო ისტორიული პროცესის ლოგიკური დასკვნა, ამ დღეს იშვა დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა—საქართველო და მისი პირველი ხმა იყო: 1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუ-

*) ამ წერილების ზოგიერთ თეორიულ დებულებებს რედაქცია არ იზიარებს.

ᲓᲦᲔᲡ

მთავრობის კანკარგულებით დღეიდან მოხსნილია სამხედრო წესები ქალაქ თფილისში.

მოხალისეებს დიდი უწესოება ჩაუდენიათ და მცხოვრებლებზე ძალმომრეობა უხმარიათ ხოფის ოლქში შესვლის დროს.

დამფუძნებელ კრებაში გავიდნენ: ხოც დემ. 109 დებუტატი, ნაც.-დეძ. 5, ხოც.-ფედ. 3, ხ. რევ. 5 დებ.

— —

გერმანიაში ხაერთო გაფიცვები დაბრუნდა. ბერლინში დიდი ბრძოლების დროს ორივე მხრით ბევრი დაიხოცა და დაჭრა. ამ ეამად თითქმის მთელ ბერლინში ხიწუნარეა.

ბალშევიკების ცნობით პარიზის კონფერენციაზე ალაძრა გერმანიის ახალშენების და ოსმალეთის ოლქების მართველობის ხაკითხი. შეერთებული შტატები მიიღებენ ხომხეთის და იტალიის ოლქების მართველობის მანდატს ხმირნახა და ხომხეთს შუა. ხირია და ალექსანდრია საფრანგეთს გადაეცემა. დიდი ბრიტანეთი პალესტინას და გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის ახალშენებს მიიღებს. საფრანგეთი კამერუნის და კონგოს დიდ ნაწილს მიიღებს. აფრიკის სამხრეთ დასავლეთის გერმანიის ახალშენები სამხრეთ აფრიკას შეუერთდება. წუნარ ოკეანეში გერმანიის კუნძულები იაპონიას გადაეცემა.

ლიბავის გაზეთების ცნობით 480 შეიარაღებული ამერიკელი ჯარისკაცი 60 აფიცრით ბერლინში ჩავიდა.

ლონდონში უოფილა 20.000 ბალშევიკი. უმრავლესობა რუსებია, შესამედს ინგლისელები შეადგენენ. მთავრობა მათ წინააღმდეგ ენერგიულ ზომებს ღებულობს.

კიდებელი სახელმწიფოა. 2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა. ესაა ის საფუძველი, რომელზე მკვიდრდება საქართველოს ცხოვრება და რომელსაც ამკვიდრებს მისი ხელმძღვანელი—სოციალ-დემოკრატია. აქ, ამ ბრძოლაში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია პირველობს და ეს ბევრს აფიქრებინებს, რომ სოციალ-დემოკრატიამ თავისა კლასობრივი პოზიცია დაჰკარგა და „წმინდა ეროვნულ“ ნიადაგზე დადგა,—ეროვნული კი ისე ესმით, როგორც „მაქსიმალური ჰარმონიის დამყარება და არა კლასთა ბრძოლის გაღვივება“. *) საკმეც სწორეთ ისაა, რომ ეროვნულ ნიადაგზე ყოფნა, ანუ საქართველოს სახელმწიფოებრივ საეს მიმართვა ბბ. ნაციონალ დემოკრატებს და ზოგიერთ სოციალისტებსაც ისე წარმოუდგენიათ, როგორც კლასთა შორის „მაქსიმალური ჰარმონიის დამყარება“, გაზეთი „საქართველო“ სწერს: უცილობელია ის ფაქტი, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატია ალარ წარმოადგენს კლასობრივ პარტიას და არც კლასობრივ პოლიტიკას აწარმოებს: ეს ხალხი გაიმსჭვალა ეროვ. პათოსითა და ეროვ. იდეოლოგიით, რომელსაც თითქმის არაფერი საერთო არა აქვს მარქსისტულ სოციალიზმთან“. მათი აზრით; „სოციალ-დემოკრატების გამარჯვებით საქართველოში დამარცხდა სოციალიზმი“ („საქართველო“ № 46), სწორეთ ასევე მსჯელობს და ასევე უყურებს საქართველოს სოციალ დემოკრატიულ პარტიის პუშაობას განდგომილი რუს. გაზ. „სოციალ დემოკრატის“ ჯგუფი. ბ. ფირუმოვის სიტყვით: „ჩვენში აწარმოებენ ნაციონალისტურ პოლიტიკას და ნაციონალურმა პრობლემამ კლასთა ბრძოლა დაჩრდილა. ყველგან სამოქალაქო ომია გაჩაღებული, ხოლო ჩვენში კი სამოქალაქო ზავია და სოციალ დემოკრატები ნაციონალ-დემოკრატებთან ერთად სხედან პარლამენტში“ (sic!), ამგვარათ: მარჯვნიდან და მარცხნიდან ერთი და იგივე ხმა მოისმის: რომ სოციალ დემოკრატიამ დაკარგა კლასობრივი ხაზი. მართალია?—არა. ნამდვილათ კი ასეა: საქართველოს პოლიტიკაში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ერთი გზა აქვს და ამ გზით ახორციელებს და აკალაპოტებს იგი თავის კლასობრივ პოლიტიკას. ამ გზისთვის მას ერთი წუთითაც არ გადაუხვევია. სხვა გზისკენ ცალი თვალითაც არ გაუხედავს. მისი პოლიტიკა იყო და არის პოლიტიკა კლასობრივი, ხალხი, რომელსაც მივყავართ დღეს პროგრამა მინიმუმის სრულ განხორციელებამდე. და განა ამ პროგრამის განხორციელება კლასთა შორის ჰარმონიის დამყარებაა!

ჩვენში ერთ წამსაც არ შეწყვეტილა კლასობრივი დუღილი და ჭიდილი. პირიქით, მთელი რევოლიუციის გზა ამ კლასთა ბრძოლის ხაზს გასდევს. ეს ხაზი კი გადის დემოკრატიაზე და მისწვრაფიის სოციალიზმისაკენ. „პროლეტარიატს აქვს ერთად-ერთი გზა რომ მიადწიოს თავის უფლებებს. ეს შეუძლია მას დემოკრატიით. მაგრამ ჩვენ არ ვიზიარებთ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ ილუზიებს, რომ დემოკრატია არის პროლეტარიატის ყველა უფლების განსაბიერება. დემოკრატია ქმნის მხოლოდ ნიადაგს, რომელზეც მას შეეძლება თავის უფლებებისათვის ბრძოლა აწარმოოს. დემოკრატიული პროგრამის მიხწევით არ სრულდება პროლეტარული ბრძოლა განთავისუფლებისათვის: იგი ახალ ფორმებს ღებულობს“ და ასევე ეიქრთნს ნ. ერორდანიაც: „ჩვენ სახელმწიფოს გარკვეულ მიზანს ვუსახავთ: გარდავქმნათ საზოგადოება სოციალისტურ ნიადაგზე. მაგრამ ამის განსახორციელებლათ ჩვენ უნდა გავიაროთ აუცილებელი პოლიტიკურ-ეკონომიური ეტაპები, რომელსაც ჩვენ ვერ გადავხტებით და ისტორია ნებას არ მოგვცემს მას გვერდი აუხიოთ. ეს ეტაპები არის ძველი რეჟიმის დაცემა და დემოკრატიული წეს-წყობილების ზარება. კაუცკი ამბობს, რომ ძლევა-მოსილი პროლეტარიატის პირველი ნაბიჯები იქნება არა სოციალური გარდაქმნა, არამედ ყველა დემოკრატიულ დაწესებულების შემოღება, პროგრამა-მინიმუმის ცხოვრებაში გატარება და შემდეგ მხოლოდ თანდათანობითი გადასვლა პროგრამა მაქსიმუმზე.

ამ გზაზე სდგას საქართველოს სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტია და არის თუ არა იგი მარქსისტული ამაში მხოლოდ უვიცი შეიტანს ეჭვს. იგი ამტკიცებს დემოკრატიას, იგი ამკვიდრებს მას...

საქართველო—ეროვნული დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოა. მისი დაცვა—დემოკ. ბატონობის დაცვაა,—სოციალიზმისაკენ მიმავალი გზის დაცვაა. და ამ დაცვას აწარმოებს სოციალდემოკრატია, რადგან: „დემოკრატიული რესპუბლიკა—ეს ერთად-ერთი პოლიტიკური ფორმაა, რომელიც სოციალიზმთან თავსდება“.

ამგვარათ საერთოდ დემოკრატია და კერძოთ პროლეტარიატი,—ორივე ბეჯითად დაინტერესებული არის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და მისი სუვერენობის დაცვაში. და ფეხადგმული ბურჟუაზია მათ მისჩანჩალებს და სცდილობს ამ დემოკრატიის ფარგლებში თავისი მიზნები განახორციელოს.

საქართველოს დაცვის ბრძოლაში ერთადაა ყველა ის საარსებო სოციალური ძალა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს საძირკველს წარმოადგენს: პროლეტარიატი და გლეხობა, რომელიც პირველს უმაგრებს ხურგს დემოკრატიულ დამოუკიდებელ საქართველოსთვის ბრძოლაში. ამის საუკეთესო სიმბოლოა სახალხო გვარდია, სადაც თავს იყრის სოფელი და ქალაქი, მუშა და გლეხი. ამნაირათ, უმთავრესათ საქართველოს დაყარული ხელებით შენდება ის სასახლე — საქართველოს დემოკრატიული დამოუკიდებელი რესპუბლიკა,—რომლითაც საქართველო, როგორც სწორუფლებოვანი წევრი, საერთაშორისო ოჯახში უნდა შევიდეს.

დემოკრატია ბატონობს საქართველოში,—ამიტომაც ასე მკვეთრად ესხმიან მას თავს ყოველი მხრიდან. მით უფრო მთელი ძალების მობილიზაციით და შეგნებით მზათ უნდა ვიყოთ დავიცვათ და განვამტკიცოთ ჩვენი დემოკრატიზმი,—გზა ბრწყინვალე მომავლისაკენ.

ვიკტორ ნოზაძე.

*) იხ. გაზ. „საქართველო“ № 284.

მოხალისეთა ლაშქრის ძალმოგრეოგა სოჭის ოლქში

გენ. გედევანიშვილმა შემდეგი ტელეფონოგრამა გამოუგზავნა მთავრობას. ის აცნობს ჩვენ მთავრობას იმ მოხსენების შინაარსს, რომელიც სოჭის ქართველთ ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელმა ხოფერიამ წარუდგინა პოლკოვნიკ ფაინს: „ბატონო პოლკოვნიკო! მე გთხოვთ სოჭის ოლქის ქართველ მცხოვრებლების სახელით გადასცეთ კავკასიაში მყოფ მოკავშირეთა ჯარების სარდალს გენერალ ფორეს ტუკერს შემდეგი: მას შემდეგ რაც ქალაქი სოჭი და მისი ოლქი დაიპყრეს მოხალისეთა ჯარებმა, ესე იგი 6 თებერვლიდან დღევანდლამდე, საშინლად ავიწროებენ მცხოვრებლებს, ძარცვა, რბევა და მკვლელობა, გახშირებულია, იყო შემთხვევები ქალის გაუპატიურებისა. როდესაც პოლკოვნიკი ფაინი და თქვენი წარმომადგენელი მოვიდნენ სოჭაში პირველ მარტს და მთხოვეს მე ალმეწერა ქართველ მშვიდობიან მცხოვრებთა მდგომარეობა, პოლკოვნიკის მოსვლამდე მცხოვრებნი დაშინებულ იყვნენ და როდესაც ჩვენ შეძლება მოგვეცა თავისუფლათ გამოგვეშკრევინა ყოველივე, მაშინვე შევუდექით ჩვენ მოქალაქეთა ორივ მოვალეობის აღსრულებას და ერთ დღეს 2 მარტს, მე შეძლება მომეცა შეგეკრიბა შემდეგი ფაქტები, რომელიც ამტკიცებს მას, რაც მე ზემოთ მოგახსენეთ. უნდა მოგახსენოთ ბატონო გენერალო, რომ ქვემოთ ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტები არის ერთი პატარა ნაწილი იმისა, რაც ხდება სოჭის ოლქში. ცნობები შეკრებილია მხოლოდ ქართველ მოსახლეობათა შორის. ეი ეს ფაქტები, რომლის სისწორესაც ჩვენ ვამტკიცებთ და მზათაც ვართ ჩვენი საკუთარი თავით ვაგოთ პასუხი. არხიპოვის, რომ-ლიც სცხოვრობს სოჭაში, ნადეჟდინსკის ქუჩაზე, თავის საკუთარ სახლში, დაუკლეს მეფველი ძროხა და არც ერთი კაპეიკი არ გადაუხდიათ. მიხეილ ხადაროვს, რომელიც სცხოვრობს სოჭაში, სალოვიის ქუჩაზე, დღე მოხალისეთა ჯარისკაცებმა წაართვეს ნაბადი. რადენ ცოცერიას, რომელიც სცხოვრობს ბახიას სახლში, პრიერჩინის ქუჩაზე, მოხალისეებმა წაართვეს ვედრა, მოსასხამი, შარვალი, ერთი წყვილი საცვალი და 21 ვედრო ღვინო. ეს მოხდა მესამე დღეს მოხალისეების სოჭაში შემოსვლისა. არავითარი ორდერი, რომ ჩხრეკა უნდა მოეხდინათ, მოხალისეებს არ წარუდგენიათ. იქვე წაართვეს გრიშა სარატანიას პალტო, შარვალი, ქუდი და საცვლები. პეტრე გოგიას, რომელიც სცხოვრობს მინგრელსკის ქუჩაზე, წაართვეს საბანი, ბალიში, შურჩი, 4 წყვილი საცვალი. ილარიონ პაოლიას წაართვეს 2 მატრაცი და 5 არშინი მაუდი. გაძარცვეს აგრეთვე მაკარი გეგელიშვილი. სოფელ მამიკოში კონსტანტინე ქოიავას წაართვეს ცხენი, 60 ფუთი თივა, 50 ფუთი სიმინდი და 55 მან. ფული. იოსებ ვარშავაკის წაართვეს 4,060 მანეთის ვერცხლეულობა და სხვა. 10 თებერვალს შეიარაღებული სომხები 15 კაცამდე შეიცვიდნ 3 ვასილ კვარუბავას სახლში, წაართვეს 5,200 მ., ტყვეთ წაიყვანეს მისი ნათესავი ანდრია ცხონდია, რომელიც ხიშტებით მოეკლათ და დაეგდოთ ტყეში. აგრეთვე სომხები 20 კაცამდე შეეპრენ მანგა ალბიას სახლში, სცემეს მას, მის ცოლს, რომელმაც ვერ აიტანა ყოველივე ეს და გაგიჟდა და რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც. ამ ადამიას წაართვეს სხვადასხვა ნივთები და 400 მანეთი ფულათ. 12 თებერვალს შეიპყრეს ადგილობრივი მცხოვრები ბესო პავლეს ძე ნიკოლაიშვილი და წაიყვანეს პოლიციის სამართველოში. ნიკოლაიშვილის მეუღლემ წაუღო ქმარს ლოგინი, რომელიც გადაცა და აპირებდა სახლში დაბრუნებას. იგი კარებთანვე შეაყენა მთვრალმა დარაჯმა და უთხრა სახლში წამომყვევი. და როდესაც უარი მიიღო შეეცადა ძალით დაემორჩილებინა ქალი. ქალს რომ თავი დაეხწია უთხრა ამ მთვრალ კაცს აქ, კი ნუ მაწვალებ, წამომყევი სახლშიო. როდესაც მივიდნენ სახლში, დარაჯმა დაიწყო ტანსაცმელის გახდა, ქალმა ასტეხა ყვირილი და მოუწოდებდა მეზობლებს საშველათ. იქვე მახლობლათ იყვენ მაიკოპიდან 4 სავაჭროთ მოსული ყაზახები მიეშველნენ ქალს, გასდევნეს სახლიდან დარაჯი, რომელიც წავიდა და მოიყვანა თავის ამხანაგები, რომელთაც დაატყვევეს ყაზახები და პოლიციის სამმართველოში წაიყვანეს. მხოლოდ დილით გაანთავისუფლეს ესენი და ნიკოლაიშვილი. არავითარი ბრალდება მათვის არ წარუდგენიათ და არც ოქმი იყო შედგენილი.

დეპეშაში კიდევ არის მოყვანილი ასეთივე ფაქტები. ასეთივე ფაქტებს აქვს ადგილი ადლერში პირველ დღესვე 10 ძარცვა-რბევას ჰქონდა ადგილი. ამ ამბებით აღშფოთებულმა მცხოვრებლებმა აირჩიეს დელეგაცია ქართველებიდან სვიმონიძე, სომხებიდან გეშიანი, რუსებიდან პოკანკო, ბერძნებიდან პერსიანოვი. დელეგაცია იყო გაგრაში გენერალ ბურნევიჩთან, რომელმაც ვერავითარი დახმარება ვერ აღმოუჩინა, რადგანაც, როგორც მან განაცხადა, ადლერში მყოფი რაზმი ჩემს ოლქს არ ემორჩილებოთ. მთელ ოლქში ასეთი ამბავი ტრიალებს, რომლის გამორკვევაც მე ვერ შევძელი. სოჭის ოლქის მცხოვრებთა სახელით, უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ რესპუბლიკის მთავრობას არა ერთხელ ალუნიშნავს, რომ კეთილშობილ ინგლისის ერის, რომლის წარმომადგენელიც თქვენ ბრძანდებით აქ—არის დამცველი ყველა ტვირთმძიმეთა და დაჩაგრულ ერების. და ამის გამო გთხოვთ ბატ. გენერალო დანიშნოთ განსაკუთრებული შერეული კომისია, რომელიც ალადგენს შელახულ უფლებებს უდანაშაულო სოჭის ოლქის მცხოვრებლებისა. მცხოვრებლებს სწამთ, რომ თქვენ ჩვენ თხოვნას არ დასტოვებთ უყურადღებოთ და დაუყოვნებლივ გამოიკვლევთ საქმის ვითარებას...

ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი მიხეილ ხოფერია. 4 მარტი 1919 წ.

ეს განცხადება ხოფერიამ გადასცა ინგლისის სარდლობას გაგრაში, რომელთაც გაუგზავნეს, სადაც ჯერ არს.

ნერილი ფრონტიდან

5 მარტს დილის 7 საათზე დაიწყო ჩვენმა ჯარმა შეტევა სლესის-ციხიდან აწყურის მიმართულებით. შეუტიეს პირველად მარცხენა და მარჯვენა ფრთიდან შემოვლით; შარა გზაზე წავიდა ჯავშნიანი ავტომობილი. მტერმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია, როგორც ჯარს, ისე ჯავშნოსანსაც. მაგრამ ამათთ. ერთი საათის ბრძოლის შემდეგ ალებულ იქნა აწყური, მტერს დიდი ზარალი აქვს, ჩვენი დანაკლისი უმნიშვნელოა. საღამოს ჩვენი ჯარი გამაგრდა აწყურიდან მესამე ვერსზე. ღამემ შეიცდობა-ანად ჩაიარა. ტყვეთ ჩაიყვანეს ჩვენებმა 60 მდე თათარი. მათში ერთი აფიცერი. როცა ჩვენ ვეკითხებით ტყვე აფიცერს: რა გინდოდათ, რაზე გვებრძვითო, აფიცერი გვიპასუხებს: გლეხებმა არ დაგვაყენესო. ვეკითხებით გლეხებს და ისინი გვიპასუხებენ: ბეგები გვეუბნებიან, თუ ეხლავე თქვენ საქართველოს არ შეუტიეთ, მერე გვიანლა იქნება, ეგენი დაგწყლებენ თავიანთ მართვა-გამგეობას, წაგართმევენ სარწმუნოებას ტ სხვადასხვა.

მეორე დღეს 6 მარტს ჩვენმა ჯარმა განაგრძო წინსვლა. სოფ. აგარასთან ჩვენმა ჯარმა საბოლოოთ დაამარცხა მტერი. დიდი ზარალის შემდეგ მტერი გაიქცა. მესამე დღეს 7 მარტს დილის 10 საათზე უბრძოლველად დაგვანებეს ახალციხე, დღის სამ საათზე ალვადგინეთ ტელეგრაფის და ტელეფონის კავშირი. სატელეგრაფო გუნდის უფროსის შტაბს-კაპიტანი ჩ. ჯავაძის მიერ გაგზავნილმა ჯ. კაცებმა და აფიცრებმა. სახიზღარი მოქმედება ჩაუდენია მტერს ახალ-ციხის მაზრაში: მთელი სოფლები ქართველებისა აოხრებულია. მცხოვრებლები დახოცილია, დახოცილი ქართველები უდრის 400 კაცს. მათში ერთი რუსი მოხელეა. საშინელ სურათს წარმოადგენს ღღეს თათრის ურდოებისგან განადგურებული ქართველების სოფლები.

1-ლ საპაორთა ბათალიონის სატელეგრაფო გუნდის ჯ. კაცი დამატრი ბახალაია.

ᲓᲔᲙᲔᲣᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

10 მარტი

ᲖᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ვეიმარში გაფიცვის კომიტეტიდან მეუმრავლესე სოციალისტების გამოსვლა აისნება მით, რომ მთავრობამ მუშათა საბჭოები სცნო, როგორც ეკონომიურ ცხოვრების წარმომადგენელნი და ეს პრინციპი გატარებულ იქნება კონსტიტუციაში. საბჭოთა არჩევნების საკითხი და მათი დანიშნულება გარკვეული იქნება დეკლარაციაში, რომელსაც ახლო მომავალში გამოაქვეყნებენ. მუშათა საბჭოები მონაწილეობას იღებენ არა მარტო შრომის პირობების მოწესრიგებაში, არამედ აგრეთვე წარმოების კანტროლში და ნაწარმოების განაწილებაში. სოციალიზაციის შესახებ კომისიის მოხსენება დაუყოვნებლივ იქნება გამოქვეყნებული. სოციალიზაციის პროექტი მთავრობამ და სახელმწიფო საბჭომ უკვე მიიღო. სამხედრო პირთა მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებს სამოქალაქო ტრიბუნალი გაარჩევს.

ლიგის საკითხში ამერიკის სენატის ვილსონისადმი ოპოზიციაში ჩადგომის გამო პარიზის ნაციონალისტური გაზეთები სწერენ, რომ ეს გარემოება აშკარად ხდის ხალხთა ლიგის იდეის დამარცხებას და საფრანგეთს საშუალება ეძლევა ისე მოექცეს გერმანიას, როგორც სურს.

გერმანულ გაზეთებში მოთავსებულია ხმები ნიუიორკიდან იმის შესახებ, რომ ანტანტას განზრახვა აქვს მოითხოვოს გერმანიის შინაურ ვალის გაუქმება. ეს განზრახვა აღელვებს გერმანიის ფართო მასას. გერმანიის სამხედრო სენსორს ხელს აწერდენ არა მარტო კაპიტალისტები და ისინიც, ვინც ომის დროს ფულს იძენდა, არამედ შემნახველი კასებიც და ისინიც, ვინც მცირე თანხის პატრონი იყო. ამ ვალის გაუქმება ნიშნავს მას, რომ სიბერეთ მოკლა ის ქათამი, რომელსაც მოკავშირეებისთვის ოქროს კვერცხი უნდა დაეღვა. მოკავშირეთა ფინანსისტები გერმანიის სამხედრო სენსთან ბრძოლით ხელს უწყობენ გერმანიის კომუნისტებს, რომლებსაც სწყურათ სენსის გაუქმება, რადგან ეს ფაქტი გერმანიის ფინანსიურ კატასტროფამდე მიიყვანს.

ეროვნულ ყრილობის პარასკევის სხდომაზე წარმოების მინისტრმა ვისელმა შემოიტანა წინადადება სოციალიზაციის და ნახშირის დამუშავების გაუმჯობესების შესახებ ბილი და სთქვა: ორივე ბილი არ ნიშნავს ახალ პროგრამას; ესენი მხოლოდ საყურადღებო ნაბიჯებია სოციალისტურ პროგრამის გატარებაში.

მარტის 8 ს დღე-ღამის განმავლობაში ბერლინის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში სპარტაკელთა ბუდეების გაანადგურების საქმეში მთავრობის ჯარმა ისევ გაიმარჯვა. სპარტაკელები დიდ წინააღმდეგობას უწევდენ. მსხვერპლის თვალიდან ასაცილებლად აამოქმედეს ნარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები და შედარებით უმტკივნეულოთ დაამარცხეს სპარტაკელები, რომლებმაც მოქმედება ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში გადაიტანეს.

რკინის გზით მიმოსვლა ბერლინთან მცირე გამონაკლისით აღდგენილია. საალყო წესები ჯერ არ მოუხსნით. სხვა ადგილებიდან მოსული ცნობები მოწმობენ, რომ საერთოთ ყველგან მზათ არიან მუშაობა განაახლონ. ტიუბინგენის სამრეწველო რაიონში მარტის 8 გაფიცვა შეწყდა, რის გამოც შესწყდა აგრეთვე ბურჟუაზიული გაფიცვაც. ლეიპციგში სამშაბათს მუშებმა გადასწყვიტეს ყველა სამრეწველოებსა და დაწესებულებებში მუშაობა განაახლონ. ზემო შლეზვიგში და რურის რაიონში ამბოხება, როგორც სჩანს, შემცირდა. ბეუტხენიდან ცნობები მოდის, რომ იქ დიდი უწესოებაა და სურსათი ალარ არის. ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ კომუნისტური იდეები იქ უფრო ადვილათ ვრცელდება, სადაც საგრძნობია შიმშილი.

ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ც. კ. ბ. ბ. ბიულეტენი, **სამხრეთის ფრონტი.** მილეროვოს მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბრძოლის შემდეგ დასტოვა სადგური კამენსკაია და მდ. დონეცის სამხრეთ აღმოსავლეთით მარჯვენა მხარეზე გადავიდა. ბელოკალიტვინსკაიასთან იერიშები უკუვაგდეთ. სადგ. მოროზოვკის სამხრეთით ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა სოფლები დაიპყრა. ჩირსკის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიპყრა ნაჩალნაია. **აღმოსავლეთის ფრონტი.** ურალის რაიონში ჩვენ დავიპყრეთ სოფლები. სტერლიტომაკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა რამოდენიმე სოფელი დაიპყრა. ნარიმანის რაიონში მტრის იერიშები მოვაგერიეთ. პერმის რაიონში შეტევა გრძელდება. **ორენბურგი.** 7 მარტი. ორენბურგ აკტიუბინსკის რკინის გზის ხაზი სადგურ იაისანაშეი აღდგენილია. დანარჩენ მანძილზე გზას სასწრაფოთ აკეთებენ. გზის კომისარიატს იმედი აქვს, რომ 2 კვირაში ალადგენენ მოძრაობას. **მოსკოვი.** 9 მარტი. კომუნისტურ ინტერნაციონალის პირველმა კონგრესმა მოისმინა რაციმერვალდის სოციალისტურ ინტერნაციონალის კომისიის მდივნის ბალბანოვის მოხსენება და რაკოვსკის, ბლატენის, ლენინის, ტროცკის და ზინოვიევის განცხადება, დაადგინა (დამახინჯებულია). ციმერვალდის გაერთიანება ჩასთვალოს. კომუნისტური ინტერნაციონალური კონგრესი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომიანს მიესალმება და უ ურჩევს გამარჯვებას საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. **ორენბურგი.** 7 მარტი, ბაშკირის საბჭოთა მთავრობამ დაარსა შრომის იუსტიციის და სახალხო განათლების კომისარიატები. **დვინსკი.** მარტ. 8 ლიბავის გაზეთების ცნობით 480 შეიარაღებული ამერიკელი ჯარისკაცი 60 აფიცრით ბერლინში ჩავიდა. **მოსკოვი.** მარ. 9. წითელი ფრონტი. თებერვლის დამლევს მოგილიოვში აჯანყება მოხდა. პეტლიურას მომხრეებმა მოჰკლეს აჯანყებულთა ხელმძღვანელი. **დუბანსკი.** მარ. 6. ყაზახთა მეექვსე ბატალიონმა სოფ. ნოვო სვერდლოვსკის დატოვების დროს საბჭოთა ჯარს დაუტოვეს წერილი თხოვნით შეატყობინონ მათ საბჭოთა მხარეზე გადასვლის პირობები. **კიევი.** მარტის 8 მიღებულია ცნობები, რომ სარნი-როვნოს რკინის გზის რაიონში პოლონელთა თეთრგვარდიელები უწესოებას ახდენენ. მათ რიცხვში არიან აგრეთვე პოლონელი აფიცრებიც. საგამომძიებლო კომისიამ შემოსვევით აღმოაჩინა ერთ ციხეში პატიმარი, რომელმაც მოჰკლა ფირდმარშალი გიბგორნი. მკვლელი რევოლიუციონურ ტრიბუნალს გადასცეს. **პარიზი.** მარ. 8. კონფერენციაზე აღიძრა გერმანიის ახალშენების და ოსმალეთის ოლქების მართველობის საკითხი. შეერთებული შტატები მიიღებენ სომხეთის და იტალიის ოლქების მართველობის მანდატს სმირნასა და სომხეთის შუა. სირია და ალექსანდრია საფრანგეთს გადაეცემა. დიდი ბრიტანეთი პალესტინის და გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის ახალშენებს მიიღებს. საფრანგეთი კამერუნის და კონგოს დიდ ნაწილს. **ბერლინი.** მარტის 2. „ფოსიშე ციტუნგი“ იუწყება, მიუნხენში მდგომარეობა გამწვავებულია. კომუსისტების ხელშია რამოდენიმე საზოგადო შენობა. **მაგდებურგი.** მარტის 1. მთავარ სადგურის რკინის გზის საველოსნოების მუშებმა მუშაობა შეწყვიტეს. **რიგა.** მარტის 8. ბერლინიდან იუწყებიან, რომ სპარტაკელთა აჯანყების ზრდასთან ერთად გერმანიის ბურჟუაზიის და ოფიცრებს შორის მოკავშირეთა ორიენტაცია იზრდება. ბერლინში ამ უკანასკნელ ხანებში რუსებს იპატიმრებენ. **ნიუენი.** მარტის 6. გაიფიცენ დიდ ქარხნების მუშები. გაფიცულნი მოითხოვენ ბრემენის მოძრაობის მეთაურთა განთავისუფლებას. **ბერლინი.** [illegible] ტის 2. როგორც პარიზ[illegible] ნი“ იუწყება, ინგლისელებმა [illegible] ყველ თავისივე წინადადება გაანა[illegible] რინ გერმანიის სამხედრო ფლ[illegible] **ლონდონი,** მარტის 1. „დეილი მეილ[illegible] სწერს: უტყუარი ცნობაა, რომ ლ[illegible] დონში ამ ეამათ თავმოყრილია 200[illegible] ბალშევიკი. უმრავლესობა რუსებია. [illegible] სამედს ინგლისელები შეადგენენ. მთ[illegible] რობამ იცის თუ რა საერთოს წარ[illegible] ადგენენ ისინი და ენერგიულ ზომ[illegible] ღებულობს. **ბუდაპეშტი,** მარ. 8. ტ[illegible] რონტლის ოლქის სოციალ-დემოკრ[illegible] მუშებმა მიიღეს რეზოლიუცია მტკიც[illegible] დაიცვან რევოლიუციის მონაპოვარნი[illegible] ჰუნგრეთის დემოკრატიული რესპუბლ[illegible] ნაუენი, მარ. 7. მთავრობის ჯარი [illegible] მივიდა ახლოს, რადგან მათ წინააღმდ[illegible] გობას უწევდა რესპუბლიკანური ჯარ[illegible] სადამოს დაიწყო შეტევა ალექსანდრ[illegible] მოეოდანთან. პარასკევს შუადღისას მთ[illegible] რობის ჯარმა დაიპყრა სიმაგრეები. [illegible] ნასკენელ დღეების განმავლობაში დ[illegible] ხოცა 400 კაცი. **მიუნხენი** მარ. 9. ლა[illegible] ტაგის შენობაში ბავარიის მუშათა [illegible] ჯარისკაცთა საბჭოების კონგრესი [illegible] იხსნა. ითათბირეს მუდმივ ჯარის გაუ[illegible] მგების და მუშათა ლაშქრის შექმნის შ[illegible] სახებ და ბურჟუაზიულ პრესაზე მუშა[illegible] საბჭოს კანტროლის შემოღებაზე. მუშ[illegible] თა დელეგაციამ მოითხოვა ლანდტაგ[illegible] საბოლოოთ გაუქმდეს და საბჭოთა რ[illegible] პუბლიკის აღიარება.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინის[illegible] ტრმა აუწყა მოკავშირეებს, რომ გერმ[illegible] ნიიდან გადმოსახლებულ 25000 პოლ[illegible] ნელ მამაკაც და ქალს და 650 ბავშ[illegible] გერმანელები მხეცურად ეპყრობოდნ[illegible] საზღვარზე გერმანელები მათ ართმევდ[illegible] ნენ ფულს, ფეხსაცმელებს, ზედმეტ ტ[illegible] ნისამოსს და 15—25 წ. მამაკაცებს ა[illegible] უშვებდნენ.

სერ მარკო საიქსი პარიზში გარდაცვალა ფილტვების ანთებით. ის მონაწილეობას იღებდა საბაჟო კონფერენციაში.

ინდოეთის საქმეების სტატს სეკრეტარის თანაშემწის ლორდ სიმლას პატივსაცემლად გამართულ სადილზე ბიკანირის მაჰარატამ, რომელიც სუფრასთამადობდა, სთქვა: ინდოეთი მიესალმება ლორდ სიმლას დანიშვნას, რა[illegible] მოწმობს მას, რომ ბრიტანეთის მეფ[illegible] სურს დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები[illegible] საკონსტიტუციო რეფორმების ცხოვრ[illegible] ბაში გასატარებლათ. გადამეტებული ა[illegible] იქნება თუ ვიტყვით, რომ თუ იქნებო[illegible] და ვინმე ინდოელთაგანი, რომელი[illegible] სტატს სეკრეტარის თანაშემწედ დანიშვნა რულ კმაყოფილებას გამოიწვევ[illegible] და ჩვენში, ეს უთუოდ ლორდ სიმლა[illegible]

ლორდ ჯორჯი სცდილობს გაუქმდეს იძულებით ჯარში გაწვევა. ფიქრობენ, რომ მისი ეკვმა გერმანიას აიძულებ[illegible] იყოლიოს მოხალისეთა ჯარი გაცილებით მცირე, ვიდრე მარშალი ფოში აპირებდა, სახელდობრ დაახლოვებით 40000 კაცი.

იმ ხმების შესახებ, რომ ლორდ ჯორჯი დაჟინებით მოითხოვს ახალ დროებითი ზავის უფრო მძიმე პირობებს „დეილი ქრონიკლი“ ამბობს, რომ ჯორჯის წინადადება შეეხებოდა იმას, რომ განზრახული იყო გერმანიის ჯარის შემცირება 20 დივიზიამდე, ე. ი., 200000 კაცამდე. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ეს რიცხვი ბევრათ აღემატება ომამდე არსებულ ინგლისის რეგულიარულ ჯარის რაოდენობას და მაშინ დავრწმუნდებით, რომ ასეთი ძალა საჭირო არ არის მარტო თავდაცვისთვის. საჭირო და გონიერი იქნება გერმანიის მომავალ მთავრობას ნება მივცეთ იმდენი ჯარი იყოლიოს, რომ შესძლოს შინაური ავტორიტეტის და წესიერების დაცვა. მაგრამ საჭირო არ არის მეტი ჯარის ყოლის ნება მივცეთ რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ რამდენი მეტი ჯარისკაციც ეყოლება გერმანიას ომის საწარმოებლათ, იმდენივე ჯარისკაცი უნდა იყოლიონ იმ სახელმწიფოებმა რომლებიც ხალხთა ლიგას შეადგენენ.

საგანგებო მინისტრი ახალციხის ფრონტზე

26 თებერვალს სამხედრო მინისტრი გაემგზავრა ახალციხის ფრონტზე. ახალციხის ფრონტზე ყოფნის დროს მინისტრმა დათვალიერა ყველა ნაწილები და პოზიციები. შეტევის დროს მინისტრი მოწინავე პოზიციებზე იყო და თავისი იქ ყოფნით ამხნევებდა ჯარს. 8 მარტს დილით მინისტრი გაემგზავრა ახალციხეში, სადაც მას შეხვდა გენ. კვინტაძე შტაბით, ქალაქის და სოფლის წარმომადგენლებით. პარადის მიღების შემდეგ მინისტრი მიესალმა ჯარს

ლები თავიანთ სოციალურ მტრებს. გაისტუმრა რა ჯარი ფრონტზე, მინისტრმა მიიღო მოქალაქეთა დეპუტაცია, რომელიც მიესალმა მინისტრს და მადლობა გადაუხადა მას განთავისუფლებისა და მშვიდობიან მცხოვრებთა დაბრუნებისათვის. პასუხად მინისტრმა ი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ

რა დონს და ყუბანს. დირექტორია ამ წინადადებაზე არ თანხმდებოდა. ბოლოს შეთანხმების მიღწეულ. ვინიცა. მარტის 7. უკრაინის გენერალურმა შტაბმა გამოაცხადა 1883 წლ. 1901 წლამდე დაბადებულთა მობილიზაცია დვინსკი. მარ. 4. ლიბავაში კომუნისტები ენერგიულად მუშაობენ. ადგილობრივი მუშები მეგობრულად უყურებენ საბჭოთა მთავრობას. ეიტომირი, მარ. 7. ეკატერინოსლავის „მოლვაში“ მოთავსებულია ოფიციალური ცნობა, რომ გადაწყვეტილია, თუ აუცილებელი შეიქნა, ქალაქი უბრძოლველათ დასტოვონ. ტაშკენტი. მარ. 7. თებერვლის 27 თურქესტანის რკინის გზილთა, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა და მადაროს მუშების ყრილობაზე მემარცხენე ესერები კომუნისტებს შეუერთდენ. ოდესაში შესდგა ბელორუსიის ახალი მთავრობა კიევიდან გამქცეულ ექიმ ცვიცევიჩის მეთაურობით საფრანგეთის ჯარის სარდლობამ არ მოისურვა ამ მთავრობასთან მოლაპარაკება და მისი შიკრიკი პარიზში არ გაუშვა. რიგა. მარტის 7. შესდგა ლატვიის კომუნისტურ პარტიის მე-6 ყრილობა, რომელმაც მოიწონა ცენტრალურ კომიტეტის მოღვაწეობა და აირჩია ახალი ცენტრალური კომიტეტი. რუსეთის კომუნისტურ პარტიის დელეგატებათ აირჩიეს სტუჩკა, ლეცნიხი, კრაუტლონგი, ეფინი, ინგინკინე, კარლინი, ბეიკა და მეტინი. ყრილობა დღეს დაიხურება. რიგა. მარ. 7. ჩამოვიდა თურქესტანის რესპუბლიკის ცენ. აღმ. კომიტეტის რწმუნებული პეტლინი ლატვიის მთავრობასთან საქონლის გაცვლის შესახებ მოსალაპარაკებლათ.

კიევი. მარ. 6 უკრაინის მასია ლევიცკის და კოლოსოვსკის მეთაურობით, რომელიც საზავო კონფერენციაზე გამგზავრა, ინტერლაკენში (ჩვეიცარიაში) გაჩერეს და აღარ უშვებენ. ფუტა. მარ. 6. „უტრო სიბირის“ ბილაიბოდან აუწყებენ, რომ საველე სასამართლომ მუშათა და გლეხთა აჯანყების ლიკვიდაცია მოახდინა. ბევრი სასიკვდილო განაჩენი გამოიტანეს. მოსკოვი მარტის 6 ცენტრალურ ინტერნაციონალურ კომისიის ყოფილი მდივანი, ამხანაგი ანჟელიკა ბალაბანოვა მე 3 კომუნისტურ ინტერნაციონალის მდივნათ დანიშნეს.

ᲨᲐᲜᲐᲒᲝᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

უმაღლეს სამხედრო საბჭოს სხდომაზე ხუთშაბათს მიღებულ იქნა წინადადება: კომისიებს დაევალოს მოხსენებებთან ერთად წარმოადგინონ თავისი დასკვნებიც, რომლებიც შემდეგ წინასწარ ზავის პირობებში იქნება შეტანილი. შემდეგ განიხილეს სამხედრო საზღვაო და საჰაერო პირობები, რომელიც მოწინააღმდეგეს უნდა წარუდგინონ.

გაზეთები იუწყებიან, რომ უმაღლეს სამხედრო საბჭოს ოთხშაბათის სხდომაზე ექსპერტებმა წარმოადგინეს მოხსენება ამ საკითხზე, რომლის შესახებ კომისიებში შეთანხმება ვერ მოხდა, მარშალ ფოშს დაევალა ამ საკითხებს თავი მოუყაროს ერთს მოხსენებაში, რომელიც ხუთშაბათის სხდომაზე იქნა წაკითხული. საბჭომ მიიღო ის პირობები, რომელიც საზავო საკითხებს შეეხება და რომელთა განხილვაშიც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ინგლისის ექსპერტებმა.

დიდი სახელმწიფოს დელეგატები მოითხოვენ მაქსიმალურ გარანტიას, რომ გერმანიის სამხედრო ძალები არ იქნეს აღდგენილი.

მარტის 10 სტრასბურგში შანგენეს თავმჯდომარეობით გაიხსნება ელზასლორენის სამხედრო საბჭო.

ᲒᲘᲚᲘᲪᲘᲐ ᲙᲐᲚᲐᲥᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

(გუაერნიის კომისარის საყურადღებოდ და საგულისხმოდ)

ბ-ნ გუბერნიის კომისარი ყურადღება უნდა მიგაქცია ერთს გარემოებას.

1918 წლის მკათათვის 10-ს (ახალ სტილ.) ქ. გორის მაზრის ქვემოჭალის საზოგადოების სოფ. იგოეთის გლეხებმა სინკა ბაკელაძემ, ანტონ მარიამ-ძემ, მიხა ჩადუნელმა და მიტრო ხუბაშვილმა წერილობითის პირობით აიღეს აზნაურ ვლადიმერ (ლადო) გრიგოლის ძის (გიგო) ზაალიშვილისაგან ყანები დასამუშავებლად და ვალდებულება იკისრეს, რომ ამ ყანებში უნდა მიეცათ ორმოცი კოდი პური და ოცი კოდი ქერი. ეს ჭერნახული უნდა ჩაებარებინათ კასპის სადგურზე და თუ არ ჩაბარებდნენ, ათასი მანეთი ჯარიმა უნდა გადაეხადნათ.

დადგა ვადა პირობის აღსრულებისა, გლეხებმა პირნათლად დაამზადეს ჭირნახული ლადო ზაალიშვილისათვის, მაგრამ ბ-ნი ლადო არსადა სჩანდა, იგი ქალაქში იფარავდა თავს და კასპში არ გამოცხადდა. იმის მაგივრად გლეხებს ეწვივნენ ამ ლადო ზაალიშვილის ცოლი ნატალია და ლადოს ორი მიცვალებულის ძის ქვრივები სანა ზაალიშვილისა (ზაალის ქვრივი) და სონა ზაალიშვილი (ნიკოს ქვრივი) და მოსთხოვეს ზემოდ დასახელებულს გლეხებს ქვემო-ჭალის საზოგადოების კომისარის ა. პარკაძეს თანადასწრებით პირობის შესრულება. ამასთან აუხსნეს კომისარსა, რომ ეგ გლეხების მიერ ნასარგებლები მიწები სამაია და არა მარტო ლადო ზაალიშვილისა; ჩვენ, როგორც ლადოს ძმების ქვრივებს, ჩვენი წილი გვერგება და ამიტომ გლეხებმა ჩვენ უნდა მოგვცენ ჩვენი კუთვნილი წილი. ამას კვერი დაუკრა თვით ლადო ზაალიშვილის მეუღლემ ნატალიამაც. ამის გამო კომისარმა უბრძანა გლეხებს, რომ პირობის თანახმად ამ სამის მანდილოსანისთვის ჩაებარებინათ ორმოცი კოდი პური და ოცი კოდი ქერი. გლეხებმა ეს საქონელი ჩაბარეს, სამმავე ქნნა ზაალიშვილებმა ხელი მოაწერეს ლადო ზაალიშვილთან შეკრულს პირობაზე ამ გვარად: „ამა პირობის ხელწერილში მოხსენებული ჭირნახული მივიღეთ სრულებით ყველა მონაწილეებმა, ვისაც რა წილი გვქონდა, აქ მოხსენებულ პირთაგან, რაზედაც ჩვენს ხელს ვაწერთ: ნატო ზაალოვი, შაშა ზაალოვისა, სონა ზაალიშვილი“. ეს პირობის ასრულების წარწერა დაამოწმა ამა 1918 წლის სექტემბრის 4-ს ქვემოჭალის საზოგადოების კომისარმა ა. პარკაძემ და მათი საქმე თითქოს გათავდა.

გლეხებმა თავისი პირობა შეასრულეს. მაგრამ გასულ დეკემბრის 4-ს სოფ. იგოეთის ეწვია უცბად რვა მილიციონერის თანხლებით შალვა ასათიანი, რომელმაც თავის თავს გორის მილიციის უფროსის თანაშემწე უწოდა. და ზემოდ დასახელებულ გლეხებს უჩვენა ასრულებულის პირობის ძალით მოსთხოვა ორმოცი კოდი პური და ოცი კოდი ქერი, ლადო ზაალიშვილის სასარგებლოდ. გლეხებმა იუარეს, წარუდგინეს პირობის წერილი ქ-ნ ზაალიშვილების მიერ ხელ მოწერილი და დაამოწმეს თვით ქვემოჭალის კომისარი ა. პარკაძე, რომ პირობა შესრულებული გვაქვსო. ბ-მა პარკაძემ დაადასტურა ეს გარემოება და აუხსნა ბ-ნ ასათიანს, რომ ჩვენის ბრძანებით ჩაბარეს გლეხებმა ლადო ზაალიშვილის ცოლს და რძლებს ჭირნახული, მაგრამ არც ამან გასჭრა. ბ-ნმა შალვა ასათიანმა თვით იკისრა მსაჯულის როლი და გადაწყვიტა, გლეხებმა უნდა გადაიხადონ, რაკი ჭირნახული აღარა აქვთ, ოთხასი თუმანი, ასეთი მოწერილობა მაქვსო (ნატა ვისი მოწერილობა ჰქონდა) და უბრძანა ოთხსავე გლეხს, ეხლავე გადმოთვალეთ ოთხასი თუმანი. გლეხებმა ვერა გაიწყვეს რა ძალა ალმართსა ჰხნავს. ორმა მათგანმა) ან. მარიამიძემ და სინკა ბაკალაძემ) ივალეს ფული მეზობლებისაგან და ჩაბარეს შალვა ასათიანს იმავე დღეს ორასი თუმანი. ბ-მა ასათიანმა იქვე ბარათი მისცა, რომ ეს ფული მივ-ლე ლადო ზაალიშვილისთვის გარდასაცემადაო (ეს ბარათი ეხლა ჩემს ხელთ არის). მესამე გლეხს (მიტრო ხუბაშვილს) ბ-მა ასათიანმა კამეჩები წაართვა, მაგრამ მყიდველი, რომ ვეღარავინ იშოვა და რომ ვერ გაინღდა, ისევ უკან დაუბრუნა პატრონს და ორი თამასუქი ჩამოართვა ასი თუმნისა. არ ვიცით ვის სახელობაზე. მეოთხე გლეხსაც მიხა ჩადუნელსაც წაართვეს ლადო ზაალიშვილის სასარგებლოდ ასი თუმანი.

მაგრამ ამითი არა თავდება ეს უკუღმართი საქციელი ბ-ნი ასათიანისა. იმავე ლადო ზაალიშვილს თურმე დიდი სამევაზრე დავწლი დაუფესია ქვემოჭალისა და მის მახლობელს სოფლებში: ზოგისათვის ფული ესესხებია, ზოგისათვის ნივთები მიეყიდნია, ზოგთან რაღაც სხვა სადაო ანგარიში ჰქონია და ყველა ამ საქმეების ფენილობა უკისრია ბ-ნს გორის მილიციის უფროსის თანაშემწეს შალვა ასათიანს: მარტო ვექილობის ვინა სჩივის, თუმცა არც ვექილობის ხარისხი შეეფერება მილიციის უფროსის თანაშემწის თანამდებობას, მაგრამ საქმე ის არის, რომ ბ-ნი შალვა ასათიანი ამავე დროს ვექილიც არის, მსაჯულიც და სასამართლოს ბოქაულიც. იმავე დეკემბრის 2-ს დაუვლია ბ-ნ შალვა ასათიანს და სოფ. იგოეთის ყველა იმ გლეხისათვის, ვისაც თურმე რაც ევალება და ედავება ლადო ზაალიშვილი, ფულები გარდაუხდევინებია ძალითა და მუქარით.

აი მაგალითებიც. გლეხი ანტონ და შროშანა მუზაშვილებისაგან 1000 მ. და ბარათიც მიუცია, რომ ეს ფული „ლადო ზაალიშვილის გარდასაცემად მივიდეო“. აქ მოხსენებული გლეხები ამბობენ, ზაალიშვილისა მართა ათი თუმანი გეემართოთ, რომ ბ-ნმა ასათიანმა ეს ორმოცი თუმანი გადაგვახდევინაო და ბარათში (ალბათ შეცდომით თუ) ასი თუმანი ჩაგვიწერიაო. გლეხ გედენა ბუდულაშვილისთვის წაართმევია ათას ოთხასი მ. და ბარათიც მიუცია, რომ ეს ფული უნდა გადავცე ლადო ზაალიშვილს მის გამო სესხის დასაკმაყოფილებლადაო. გლეხის სიმონ ხუბაშვილისაგან მიუღია 150 მანეთი და ბარათში სწერს, რომ „მივალე ლადო ზაალიშვილის გარდასაცემათ, რომელიც შენ მისი გემართთო“. გლეხს წაყალობა ხალიშვილისგან მიუღია 600 მ. „ლადო ზაალიშვილის გადასაცემად, რომელსაც ეკალებოდა ზაალიშვილი“, სწერს ბარათში. გლეხ არჯევან მუსაშვილისაგან მიუღია 400 მან. და ბარათში სწერს, რომ „ლადო გრიგოლის ძე ზაალიშვილის გადასაცემად მივიდე უნაგირის ფულია“. ეს ხუთივე ბარათი ხელთა გვაქვს და საჭირო შემთხვევაში წარვუდგენთ ბ-ნ გუბერნიის კომისარს.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ამბავი მოხდარა ერთ დღეს, წარსულს წლის დეკემბრის 2-ს. გლეხები ამბობენ, რომ ლადო ზაალიშვილის არაფერი გვემართა და უმიზეზოდ გადაგვახდა ეს ფულიო.

ვთქვათ გლეხები სტყუიან და ემათ და ზაალიშვილის შორის სადავო რამ ფულის ანგარიში იყო. ვიკითხოთ ერთი, გორის მილიციის უფროსის თანაშემწე შალვა ასათიანი, რომელი მსაჯული და სასამართლოს ბოქაული იყო, რომ ეს კერძო დავა გლეხთა და აზნაურს შორის თვითონ გადასწყვეტა ლადო ზაალიშვილი სასარგებლოდ და თვითონ ალრულებაში მოიყვანა ეს გადაწყვეტილება. ან, თუ იმის სიტყვას დავუჯერით. ვინ დავალა და რომელი მოწერილობით, რომ ამ კერძო სადავო საქმეში ჩარეულიყო მოსამართლეობა და მოსამართლის ბოქაულობა ეკისრა. ვთქვათ, არჯევან მუზაშვილს ლადო ზაალიშვილისა ოთხასი მან. ემართა უნაგირისა და არ აძლევდა, გორის მილიციის უფროსის თანაშემწე ასათიანი აქ რა შუაშია და იმან რად იკისრა ამ დავის გადაწყვეტა? ვინ არის ეს ბატონი შალვა ასათიანი — ვექილია ლადო ზაალიშვილისა, მოსამართლეა, სასამართლოს ბოქაულია, თუ მილიციის უფროსის თანაშემწეა, და თუ ეს უკანასკნელია, როგორც თითონ აწერს ბარათებზე ხელს, რად უკისრია როლი, რომელიც იმას არ შეეფერება, რად გადაულახავს ფარგალი თავისის მოვალეობისა და რად დაუჩემებია სხვა მოხელეთა უფლება. ან ის ფული, რომელიც გლეხებს გადასახდევნა, გარდაეცა თუ არა ლადო ზაალიშვილისა და, თუ გადასცა, სად არის ამისი საბუთი?

ყველა ამას იმედია, ბ-ნი გუბერნიის კომისარი გამოიძიებს შალვა ასათიანის უკანონო მოქმედების ჯეროვანს მსჯავრს დასდებს და საშართლიანობას აღადგენს— ქონებრივად უდანაშაულოდ დასჯილს გლეხებს თავის ფულს უკან დაუბრუნებს. ჩ.

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

ბოროტ მოქმედება თფილისის სადგურზე.

2 მარტს, ღამის პირველ საათზე დეპოს დარაჯმა ჯავახიშვილმა დაიჭირა ბოროტ მოქმედი უფროსი „სასტავიტელი“ კო—შვილი, რომელსაც გაელო დეპოს წისქვილთან ვაგონი და მიჰქონდა ფქვილი; დარ ჯა დატყვევებული მიჰყავდა დეპოს რეფიზორს ამხ. მიქაძე. საქმის ვითარება შეატყობინეს სადგურის მორიგ აგენტს, კო—შვილი კი როგორც მოსამსახურე, გაუშვეს იმ პირობით, რომ თითონვე გამოეცხადებოდა წესიერების დამცველთ. 3 მარტს, როდესაც ამხ. ეუ—ლი მიმდიოდა თავის საქმეზე და გაიარა დეპოში, მას შეხვდა დარაჯი იოსებ მახარაშვილი და აუწყა ზემო აღნიშნული ბოროტ მოქმედება. ამხ. ე—ლი მაშინვე წავიდა საქმის გამოსარკვევათ მილიციის უფროსთან რომლის თანაშემწე, მაშინათვე წავიდა სადგურზე, საქმის გამოსარკვევად. გამოირკვა შემდეგი: 2 მარტს მოახდარი ბოროტების შესახებ 3 მარტამდე არავითარი ლაქა არ იყო შედგენილი. საჭიროა გამოირკვეს ვის განკარგულებაში იყო ჩამოყენებული ვაგონი ფქვილით, რომელიც იკუთვნოდა ინგლისელებს, ან რა უნდოდა უფროს „სასტავიტელს“ ბ. კო—შვილს იმ დროს როდესაც სამახურში არ იყო. და ყველა ეს საჭირო გზეთის საშუალებით იყოს აღნუსხული, რომ საზოგადოებამ გაიგოს ყველა ბოროტ მოქმედი ისჯებიან და თუ ეს არ მოხდა, მაშინ გამართლდება ის შეხედულება, რომელიც ტრიალობს ხალხში მილიციის შესახებ.

არ შემიძლიან უყურადღებოთ დავტოვო აგრეთვე რკინის გზის სამკურნალო მისი ექიმებით. არა ერთხელ ყოფილა გაზეთის ფურცლებზე აღნიშნული ექიმების შესახებ და კიდევ ბევრჯერ მოგვხდება მათზე წერა. თითქოს შტატი ექიმებისა შეიკვალა და ყველა რჩეული ექიმები იქნენ მიღებული, მაგრამ, თუ არა ვცდები, რკინის გზის დეპოკრატიამ ამ გამოცვლით ვერაფერი მოიგო. დროზე ექიმი ვერ იშოვა, რომ ავთმყოფიან მიეყვანონ. საავთმყოფოში მ-ხვალ და იქ კიდევ უარესი ავთმყოფთ ეკულათ ეპყრობიან. მაგალითად ამ დღეებში, როდესაც ამხ. ე—ლის ყმაწვილი მივიდა ექიმ მგალობლიშვილთან და სთხოვა წაეყოლოდა სახლში დედის სანახავად, მან ყმაწვილი უარით გაისტუმრა იმ მიზეზით, რომ ბებია ქალმა უთხრა მაგის დედა ისე ავათ არ არის, რომ აქ ვერ ამოვიდესო და ექიმმაც დაიჯერა, დაბერა ქუდი და გასწია სახლისკენ. ამის შემდეგ ამხ. ე—ლი გახდა იძულებული მოეწვია დათხოვნილი ექ. ერელი, რომელმაც შეამოწმა ავთმყოფი და ადნიშნა, რომ ამის გარეთ გასვლა ყოველად შეუძლებელია, რადგან მას აქვს შარდის ბუშტის ანთება. რის გამო ამხ. ე—ლმა გადიხადა მეტი ხარჯი ექიმისა 20 მან. და წამლები, რომელიც გამოსწერა ექიმმა რომარ მოეცათ რკ. გზის აფთიაქში ვინიცის რას გადაახდევინებდნენ კერძოთ. ამხ. ყველა ამას საჭიროა ყურადღება მიექცეს და საექიმო აპარატი მოეწყოს ისე, როგორც შეჰფერის დემ. რესპუბლიკას და ვუ ურვებ ჩვენს ახალ შეკრებილ ექიმებს, რომ რკინის გზის დემოკრატიას არ მოუხდეს მათზე გულის აცრუება და ხელახალი გამოცვლა იმ ყოფაქცევისთვის და გულგრილობისთვის, როგორც ახლა იჩენენ. მეთვალყურე.

Ს.-ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

ტრამვაის მუშაობაში. 4 მარტს საღამოს, ტრამვაის პარკში შესდგა კრება სოც. დემ. პ. მდივრობის მუშა-მოსამსახურეებისა, თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სევერიან მახარაძე, მდივნად კოწია ზენაიშვილი. დღის წესრიგში დგას შემდეგი კითხვები: 1) სოფლელი მუშების დამოკიდებულება ჩვენს პარტიასთან და დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები სოფლად, 2) კოოპერატიული დუქნების მოქმედება და ამხანაგ გიორგაძის განცხადება. პირველ კითხვაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ფ. ლორიამ, მან აღნიშნა რა დღევანდელი სუფლისკვეთება მუშებისა სოფლად, შეჩერდა მაზე, თუ რას სჩადიან დღევანდელი ადმინისტრაციის ზოგიერთი მოხელენი. მომხსენებელმა ბევრი მაგალითებით დაუმტკიცა კრებას, რომ დეშეთის, თელავის, თიანეთის და სოფლის მაზრებში მომხდარ გაუგებრობას, მთავრობასა და გლეხებს შორის, უმთავრესი დანაშაული მიუძღვის იმ უპასუხისმგებლო ადმინისტრაციის მოხელეთ, რომლებიც ბოროტად და თავის ჯიბისათვის სარგებლობენ მთავრობის ხელობით და დანიშნულებით—არის გახშირებული მექრთამეობა, გლეხების უმეტესობით შევ ფრეობა და სხვადასხვა ბოროტ მოქმედება. ყველა ზემოხსენებულს ჩადიან ის უპასუხისმგებლო პირები, რომლებიც ზრუნავენ თავის ჯიბეებისათვის და მათი ასეთი მოქმედება ბადებს გლეხების მხრივ ეჭვს და უნდობლობას იმ პარტიისადმი, რომლის ხელში არის ღეს საქართველოს რესპუბლიკის მართვა-გამგეობა, რის მიზეზი იყო ის, რომ ზოგიერთ სოფლებში გასავალი ჰქონდა სხვადასხვა პირების გალაშქრებას ჩვენს პარტიის წინააღმდეგ, თუმცა და სამწოლოთ დიდი ხმის უმრავლესობით გამარჯვებული გამოვიდა ჩვენი პარტია. შემდეგ მოხსენებისა გაიმართა კამათი. დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც წარედგინა საოლქო კომიტეტს: „რომ არ დავკარგოთ სოფელი და არ ჩამოვიცილოთ მუშები და ჩაენს და მათს შორის არსებობდეს შეთანხმებული პარტიული მუშაობა, როგორიც იყო დღემდის, ამიტომ საჭიროა დაინიშნოს პასუხისმგებელი ადგილის. მოხელენი და ყველა დღემდის ასეთ ბოროტების ჩამდენი და ჩვენი პარტიის სახელის ცრუ მატარებელნი უნდა იქნენ დათხოვილნი და პასუხისიებაში მიცემულნი. აგრეთვე მოეთხოვოს მთავრობას, რომ, როგორც სარაიონო, ისე სამაზრო და სხ. ყოველივე თანამდებობის ადმასრულებელნი იყოს დანიშნულნი ყოველივე მათი მოქმედების შესახებ სრული პასუხისმგებლობით“. ამ რეზოლიუციის გადასაცემად სადაც ჯერ არა არჩეულ იქმნა კომისია, რომელშიც შედიან ამხანაგები: ბერეულაძე, ირ. მეგრელიშვილი და არშ. ივანაზოვი.

კოოპერატიული დუქნების შესახებ გამოირკვა შემდეგი; კოოპერატივებმა გამგეებს გამოუტანიათ ქალაქის თვითმართველობიდან შაქარი ნისიათ, რომლის ჯამი ადემატება 800,000 მანეთს და ზოგიერთ გამგეთაგანს ეს ფულები ჯიბეებში ჩაუდვიათ და არ წარუდგენიათ ქალაქისთვის, ამის მიხედვით ქალაქის თვითმართველობას მთავრობიდან შაქარი ვერ მიუღია და ეს ყოფილა მიზეზი მცხოვრებლებისთვის იანვრის შაქრის მიუღებლობისა. კრება ადგენს მიეცეს წინადადება ამ ბატონებს მისდამი ხვედრი ფულები შეტანონ კასაში, რომ მით საშუალება მიეცეს ქ. მცხოვრებლები მიიღონ თავიანთი სუდრი.

დასასრულ კრებამ მოისმინა ამხ. გიორგაძის განცხადება, რომელიც შეეხებოდა საწევრო ფულების გადაუხდელობას. კრება ერთხმათ ადგენს: ვინაიდან საწევრო ფული არის ერთად ერთი ნივთიერი დახმარება ჩვენი ხელმძღვანელ ორგანოებისა და ის პარტიის წევრი, რომელსაც ეს არ აქვს გათვალისწინებული და ვინც 2ᲡᲐ მარტამდის არ შემოიტანს თავის ხვედრ ფულს, იქნება პარტიის გარეშე გამოცხადებული.

კოწია ზენაიშვილი

ᲞᲠᲝᲒᲝᲜᲪᲘᲐ

ᲮᲝᲜᲗ. ᲥᲐᲠᲓᲔᲜᲐᲮᲘ (ოლნალის მაზრა). ძალიან იშვიათია, რომ ამ სოფელზე ვინმემ ხმა ამოიღოს და რამე დასწერილ! ამის მიზეზია ის, რომ სოფელს ინტელიგენცია არა ჰყავს და არც ფოსტა აქვს.

ოდესაც აქ დაუარსებიათ წვრილი საკრედიტო კასა, რომლის არსებობა დღემდის რაღაც შემთხვევით შენახულა. მისი ოპერაციები, თუ არა ვსცდები, ძალიან უფერულია; როგორც გადმოცემენ, აქ რაღაც ბოროტ მოქმედებასაც კი ჰქონია ადგილი, რაზედაც ხელი მეტათ უკმაყოფილოა.

დიდი ხანი არ არის, რაც აქ კოოპერატიული დუქანი დაუარსებიათ, სადაც თურმე რვაას წევრამდის ითვლება. დუქანში საქონელი ძალიან ნაკლებათ არის და რაც არის, ისიც ძვირათ იყიდება, რაზედაც ხალხი მეტათ უკმაყოფილოა. თუ ამ საქმის სათავეში რიგიანი პირი არ ჩადგა, კოოპერატივი მალე განუტევებს სულს.

გარდა ამისი აქ არსებობს ერთი ვითომდა წიგნსაკეთებელ-სამკითხველო, რომელიც, სულ რომ არ არსებობდეს, ის უფრო საჭიროა. ჯერ არის, რომ ის ცენტრში არ არის მოქცეული, სადაც კი ყველა უბნის მცხოვრებლებს საშუალება ექნებოდათ მისით ესარგებლობისა და მეორეც ესა—მეტად ღარიბია.

აქ საპანე ღვინო (48 ვედრ.) 3600—4000 მანეთამდის ფასობს. მუშტარი ნაკლებია, მაგრამ ეს გარემოება ოდნავაც არ უბრკოლებს გლეხს წრეს; ისინი უფრო მეტის ხალისით მუშაობენ თავიანთ საყვარელ მამულში—ვენახში.

მიწების მიმდინ კომისიასაც გაუთავებია თავის მუშაობა. სულ ორი-სამი მამული დარჩენილა სახელმწიფოს ფონდში.

აქაც როგორც სხვაგან ყველაფრის სიძვირეა. მაგ. გირვანქა ძროხის ხორცი ღირს 4—5, მან ლორის 5—6 მან., ლორის ქონი 10—12 მან., ცოცხალი ინდაური 100—150 მან., ჭიკა რძე— 2 მან., ცალი კვერცხი 1 მ.—1 მ. 20 კაპ. და ასე.

არ შემიძლიან ერთი ფრიად ბრალსაყმევნო გარემოებას არ მივაქციო ყურადღება, აქ გახშირებულია განუწყვეტელი სროლა. და ზოგჯერ ისეთ ამბავს ასტეხენენ ხოლმე ახალგაზრდები, რომ მშვიდობიან მცხოვრებლებს გონიათ ლეკები დაგვესხენ თავსო.

საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექციონ, ვისგანაც ჯერ არს.

მოხული.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ამხ. ნაგო რედაქტორო! გთხოვთ მიიღოთ სახელოვან გვარდიელთა სასარგებლოთ შემდეგ ამხანაგთაგან გადებული წვლილი დანიშნულებისამებრ გადასაცემათ: ლაბაური—20 მან., პეტრიაშვილი—50 მან., მჭედლიშვილი—20 მ., არგოლაშვილი—10 მან. და უცნობისაგან—16 მან. *). სულ 116 მ.

ამხ. მონდობილობით ლაბაური.

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

სუფსის სოც.-დემ. ორგანიზაციისა საქართველოს დამფუძნებელ კრების ფონდის გასაძლიერებლად: შემოსავალი: რკინის გზის და დეპოს ამხანაგებისაგან ერთი დღის ჯამაგირი 414 მან., რკინის გზის „იარეიკიდან“ 275 მან., მაზრიდან 300 მან., ორმანიდან 181 მან., ტაბანათიდან 118 მ., ხაჯალიდ 5 280 მ., ხიდმოლაღიდან 250 მან., წყალწმინდიდან 84 მან., ახალ-სოფლიდან 154 მან., ომფარეთიდან 70 მან., სულ 2126 მან., გამოირიცხა აუცილებელი ხარჯები 217 მან. 50 კ., გაიგზავნა გურიის კომიტეტში 1908 მან. 50 კ.

ბ. ჭანტურია.

*) ფული რედაქციამ პიელი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐᲜᲘ

გამოიცემა სახელმძღვანელო

ᲒᲣᲮᲕᲚᲢᲔᲠᲘᲐ

ს. ტარუაშვილისა და იყიდება მხოლოდ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. გამოწერვა ორმოცის და მეტის შეიძლება ფასდადებით გაუგზავნოს. (3—1)

გთხოვ უმორჩილესად იმ პირს, რომელმაც 28 თებერვალს ამა წლის ჩაგდო წერილი რუსეთიდან მოტანილი, აქ თფილისში ქსენია ოიოიანიჩის სახელზე, გამცეს პასუხი შემდეგი მისამართით: ყვირილის ქუჩა № 14, (ეკ 10 სამ. უბანი) მინა კოვალიოვისა. (5—2

ᲔᲥ. Დ. Ი. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

დეპარტამენტ: შინაგან, ყურის, ყელის ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1 სთ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელ. ფონი 16—65.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘ ᲚᲔᲕᲒᲘᲩᲘᲜᲝᲠᲚᲝᲕᲡᲙᲘ

მიიღებს შინაგან სნეულებიან და ბავშვებს ავადმყოფებს. სპეციალურად მალარიის (ციების) წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღამოს 6—7. ქსენიეთის ქ. № 9, ტელ. 12—88 (25—19

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ Გ. Ა. ᲨᲐᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშბაუნება 806 და 914), ენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებ ყოველ დღე დილის 8—11 ს. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. ავადმყოფებით მბინავ დილით. მისამ: ოლდას ქ. № 88.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

Д. В. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გოლინის ქ., № 41. ტელ. № 14—60.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜᲘ

Რ. Ბ. ᲨᲘᲨᲚᲝ-ᲡᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მედიცინის დოქტორი ეუნივერსიტეტისა და ეკონომიურგის მედიკურ ქირურგიულ კლინიკისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფებს და იძლევა საბერძნო დარგებს. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 11. ტელეფონი № 9—26.

ᲙᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კლოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ. ტელეფონი 13—35.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

Ნ. Ბ. ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

სპეციალურად—ბავშვთა და შინაგან ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყურადღებიანი ქუჩა № 12. ბინდება საღამ. 5—7 საათ. ტელ. 17—6

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

Ვ. Თ. ᲪᲣᲪᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲮᲐᲛᲫᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲥᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘ

მიხეილის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე, ფოსტის მახლობლად. შესაფერელი ბინა ბელგიის ქუჩიდან—ათი ოთახი პირდაპირ ვენერიული, კანი, ბ. ფილ. (806 და 914 შეშბაუნება) ბ. შარდე და სახეზე ორგანოთა ნეულებანი. საღამოს 5—7 საათ. (25—

Კ. Ი. ᲖᲣᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲡᲐᲮᲚᲝ

სახ. სახ. არსებული ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ ოთხშაბათს, 14 მარტს, 1919 წ. წარმოდგენილი იქნება

ᲛᲔᲤᲮᲘᲡᲗᲐᲕᲘ

დრამა ოთხ მოქმედებად ტო. ჩაბიშვილისა,

ადგილების ფასი 3 მ.—50 კ.-მდე. ბილეთების კასა ღია ყოველ დღე 12—2-მდე და საღამოს 6—8 საათამდე. დასაწყისი სულ ოთხს 8 საათზე.

შემდეგი წარმოდგენა 15 მარტს. (2—1)

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

სამშაბათს, 11 მარტს, ზულგინას, მოროხოვის, სარაჯიშვილის, ინაშვილის მონაწილეობით

ᲐᲒᲔᲡᲐᲚᲝᲛ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲘ

ოთხშაბათს, 12 მარტს, „ეგეესა“, ხუთშაბათს 13 მარტს „ბახრინ“, შაბათს 15 მარტს „ოტელო“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ